

1934.



11-11

137

1934

თქმთაბრევი

# ოქტომბერი

სოციალ-დემოკრატიული საბავშვო შუბანი, № 1

იანვარი  
1934  
წელი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროსა  
და განათლებებს სახ. კომისარიატის შურნალი  
მცირეწლოვან ბავშვთათვის.

## შინაარსი

1. საიდუმლო კარავი,—ი. თელიასი . . . . .	1
2. ჩვენც გამოვეთხოვეთ ღვინის—ლეკი—გ. კაკაბიძისა . . . . .	3
3. თოვლში,—ლეკი—ნოე დაფნარელისა . . . . .	5
4. კურდღლები—შაშათავისი . . . . .	6
5. ზეჯითო ტატო,—ლეკი გ. კალანდაძისა . . . . .	10
6. მურას სცივა,—ლეკი—გ. კაკაბიძისა . . . . .	11
7. თოვლი—ლ. კიკინაძისა . . . . .	12
8. შიო მღვიმედი,—ი. ა. . . . .	15
9. ძია შიო,—ლეკი—მიმქრალისა . . . . .	17
10. ძია შიო რაქაში—მოგონება ნ. ბენდუქიძისა . . . . .	17
11. ეოვო უნდა ამისთანა,—ლეკი—შ. სავადაშვილისა . . . . .	19
12. თედოს ნაშბობი,—ლადო გეგეკეკორისა . . . . .	20
13. უცნაური მუწეუმი,—თარგ. შ. თ. . . . .	24
14. ვიშრომებთ ძმურად,—ლეკი ნ. შველიძისა . . . . .	25
15. შურთხი,—ბ. ჩხეიძისა . . . . .	26
16. ფრინველი—ცხენი,—ფუსულიდან შ. თ.-ისა . . . . .	28
17. ოქტომბრელი, იყავ შუად,—გასართობი შედგენილი ნ. ნ.-ს მიერ . . . . .	31
18. ჩვენს სოფელში,—ლეკი დიმ. წერეთლისა . . . . .	32
19. მესამარე ჭიანჭველები, წინამძღოლი კოდალა და კატის შვილობილი. (რუსულიდან) . . . . .	32

## საიდუმლო კარავი



საიდუმლო კარავი  
1917


ვის არ გაუგონია საიდუმლო კარავის ამბავი, სადაც ოქტომბრის რევოლუციის სამხადისის პერიოდში იმალებოდა ანხ. ლენინი.

საიდუმლო კარავი ერთი უშესანიშნავესი ფურცელია ოქტომბრის რევოლუციის ისტორიიდან. ეს კარავი იმყოფებოდა იმ ქალაქის (მაშინდელი პეტროგრადის) გარეთ, სადაც მხადდებოდა ოქტომბრის რევოლუცია.

რამ აიძულა მუშათა კლასის ბელადი ანხ. ლენინი გადამაღულიყო საიდუმლო კარავში? ეს მოხდა შემდეგი მიზეზის გამო. ლენინს, რომელიც მოუწოდებდა მუშებსა და გლეხებს წაერთვათ სახელმწიფო ძალა-უფლება ბურჟუაზიისა და მემამულეებისათვის, ბურჟუაზიამ დევნა დაუწყო. გადაწყვეტილი იყო ლენინის დაპატიმრება და მოკლა, რომ იმით თავიდან აეცილებიათ მუშებისა და გლეხების აჯანყება და რისხვა. მაგრამ ლენინს იცავდა მუშათა კლასი, მისი ხელმძღვანელი ბოლშევიკური პარტია, ამიტომ აშკარაა, როცა ლენინის წინაშე დადგა მოსალოდნელი საფრთხე, პარტიამ გადაწყვიტა ლენინის საიდუმლოდ გადამაღვა.

ლენინის გადამაღვის საქმეს აწყობდა მაშინ ანხ. ი. სტალინი, რომელიც ლენინთან ერთად ხელმძღვანელობდა პროლეტარულ რევოლუციას. პირველ ხანებში ლენინი სადგურ რაზლოვის მახლობლად იმალებოდა. მას თან ახლდენ პარტიის მიერ გამოყოფილი ამხანაგები. მაგრამ ვინაიდან იქ მისი დარჩენა სა-

1352.





შიში იყო, ამიტომ ლენინი საცხოვრებლად რაზლივის მახლობლად მდებარე ტბის მეორე მხარეზე გადავიდა. ღამით, როცა დაბაში შეწყდა ადამიანების მოძრაობა, აშხ. ლენინი და მისი ამხანაგები ნავით გადასურდნენ მეორე მხარეზე. ამ ადგილას ტყეები და ველები იყო.

ზაფხულის დასასრული იყო, ამიტომ ველებზე მუშაობა წარმოებდა. გლეხები თივას თიბავდნენ, ზინავდნენ. მშვენიერი ბუნების წიაღში, სიმყუდროვეში ლენინი კარგად გრძნობდა თავს.

ერთ მყუდრო ადგილას ლენინის საცხოვრებლად კარავი იყო გაშენებული. აქ ცხოვრობდნენ ლენინი და მისი მცველი ამხანაგები ფარულად. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი ქალაქიდან გამოიპარნენ, ლენინს ტანსაცმელი გამოუტყვალეს, თმა გაპარსეს. იგი უბრალო მუშას ჰგავდა, ამიტომ დღით ლენინი თივის ალებში ეხმარებოდა აქაურ მუშებს. ხალისიანად მუშაობდა. ღამით, როცა ტბისა და კარავის გარშემო სიბნელე ჩამოწვეებოდა, ლენინთან ქალაქიდან ფარულად ჩამოდდიოდნენ ამხანაგები, მოქონდათ ცნობები რევოლუციის მსვლელობის შესახებ, მოქონდათ გაზეთები, მოქონდათ ლენინის წერილები და მითითებები.

კარავი, რომელშიაც ცხოვრობდა ლენინი, უბრალო ნეშოებით იყო დახურული. იქვე გვერდზე მოწყობილი იყო საკუჭნაო, ენთო ცეცხლი, და ცეცხლის პირას მიმჯდარი ლენინი ჩაის ადუღებდა. კითხულობდა და ხშირად წერდა კიდევ წერილებს ერთი პატარა ბუჩქის ძირას. გულიანად იცინოდა, როცა ბურჟუაზიულ გაზეთებში კითხულობდა თავის შესახებ ათასგვარ ქორს. გაზეთები წერდნენ, თითქოს ლენინი საზღვარგარეთ გაიპარა წყალქვეშა ნავით და სხვა. ლენინის კარავის გარშემო საღამოობით ხშირად იკრიბებოდნენ გლეხები, ადგილობრივი მცხოვრებნი, პატარა გოგო-ბიჭები, ლენინი უამბობდა მათ სხვადასხვა ამბავს, და ისინიც შუალამემდის ბეჯითად უსმენდნენ.



ქალაქში მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა ლენინის საცხოვრებელი ადგილი და მისი საიდუმლო კარავის არსებობა. იგი კარავში ცხოვრობდა, მაგრამ ამ დროსაც ეს კარავი რევოლუციის შტაბს წარმოადგენდა, რადგან ლენინი თავისი მითითებებით, გვეგებითა და წერილებით უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა აჯანყების სამზადისში მყოფ მასებს.

სწორედ ამ პერიოდში დაწერა ლენინმა თავისი შესანიშნავი წერილები: „მარქსიზმი და აჯანყება“ და სხვა, სადაც იგი წერდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აჯანყებულები მუშები და გლეხები, როგორ უნდა ებრძოლათ, რა დროს უნდა გამოსულიყვნენ ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად, საიდან უნდა დაეწყათ შეტევა, რა უნდა ჩაეგდოთ ხელში და სხვ.

ლენინი ამ კარავში თითქმის ოქტომბრის რევოლუციის უკანასკნელ დღეებამდე იმყოფებოდა. მან იცოდა ვადამწყვეტი დღის მნიშვნელობა, როგორც დიდმა რევოლუციონერმა და მემბოხემ, ვერ მოიფინა ასეთ დროს სხვაგან ყოფნა და უშუალოდ თვითონ ჩაება მუშათა კლასის იმ დიდ ისტორიულ შეტაკებაში, რომელიც ოქტომბერში მოხდა, როცა მუშათა კლასმა მიიტანა იერიში კაპიტალისტ-მემბოხეებზე, დაამარცხა ისინი და პროლეტარული დიქტატურა გამოაცხადა.

ი. თელია.

## ჩვენც გამოვეთხოვეთ ლენინს

სოფელში იმ ღამეს 9 იანვრის აღსანიშნავი წარმოდგენა უნდა დაედგათ. სკოლის დარბაზში აუარებელია ხალხმა მოიყარა თავი. მოვიდნენ გლეხები, გლეხი ქალები და სოფლის მოწინავე საზოგადოება. დარბაზში მოწაფეებიც ბლომად იყვნენ. ლამების მკრთალ სინათლეზე მკრთალად ჩანდნენ ადამიანები, და ისმოდა ხმაური. მოსულები დიდი ინტერესით ელოდებოდნენ ფარდის აწევას. უნდაღათ მალე დაენახათ სცენაზე „მსახიობების“ მოქმედება. მეც, შრომის სკოლის მოწაფე, სცენის ახლო ვიდეტი და ახმაურებულ ხალხს ვათვლიერებდი. მახარებდა მაყურებელთა სიმრავლე. იმ ღამეს სცენიდან ლექსი უნდა წამეკითხა და ბევრი მსმენელი მეყოლებოდა. ლამის სინათლესთან ხშირად ვშლიდი ჩემს ხელნაწერ ლექსების რეჟულს და იმ ლექსს, რომლის წაკითხვასაც ვაპირებდი, რამდენჯერმე გადავავლებდი ზოლზე თვალს. ამას საჭიროდ ვთვლიდი, რადგან ლექსი ზებირად უნდა მეთქვა და, რომ შემშლოდა, სირცხვილი იყო. მაგრამ იმ ღამეს მე სცენაზე არ გამოვსულივარ. არც წარმოდგენა ყოფილა. პარტიის უჯრედის მდივანი იმ დროს, როდესაც „მსახიობებს“ თამაში უნდა დაეწყათ, ფარდის წინ დაღვრემილი გამოვიდა და ხალხს მოკლედ განუცხადა:

— რაიონიდან სასწრაფო ცნობა მივიღეთ, რომლის ძალითაც წარმოდგენა არ იქნება.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხს გაკვირვება დაეტყო, მაგრამ ისევ ხმაურობა დაიწყეს, ნათქვამი არ დაიჯერეს.

— გვატყუებენ, — თქვეს აჭა-იქ. პარტიის უჯრედის მდივანმა ახლა შეაქრად, რაღაც გულმოსულივით გაიმეორა განცხადება. ხალხს ნაღვლიანი თვალებით გადახედა და შემდეგ ფარდის უკან გავიდა. ახლა კი წარმოადგენს დაუდგმელობა ნათელი იყო.

ხალხში ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა... ელოდნენ ახალ სიტყვას, რომელიც მათ გავარკვევდა, მაგრამ ასეთის მოქმედი არავინ ჩანდა, თვითონ კი არ იყო დენ რაში იყო საქმე. ამ დროს წინა რიგში ერთმა კომპარტიელმა დაბალი, ძლიერგვასავანი ხმით უთხრა მის გვერდით მდგომს:

— რასაკვირველია, წარმოდგენა არ იქნება... ლენინი გარდაიცვალა...

ეს ცნობა მოულოდნელი იყო. ამ ცნობას იქვე ახლო სხეებმაც მოაპყრეს ყური, მაგრამ ყურს არ დაუჯერეს და განცვიფრებით. იკითხეს:

— როგორ, როგორ?

— ლენინი გარდაიცვალა, — იყო მძიმე და გულნატკენი პასუხი. ეს ცნობა მთელ დარბაზს მოედდა. ხალხი გაოცებული და დამეცხებული დაჩა. ვერავის ვერ წარმოდგენა ლენინის სიკვდილი. არავის ხმაძალალი სიტყვა არ წამოსცდენია. ისმოდა მხოლოდ ჩურჩული. ამ განწყობილებებით წარმოდგენისათვის მოსულმა ადამიანებმა უსიტყვოდ დატოვეს სკოლის დარბაზი და ჩაფიქრებულნი თავიანთი სახლებსაკენ წავიდნენ. მეც, გაოცებულ და გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი, მეზობელ ბიჭებთან ერთად გულნატკენი წავედი შინისაკენ.

მეორე დღეს ქობ-სამკითხველოს წინ დიდი ასოებით დაწერილი ცნობა იყო გაკრული, რომელიც მიღებული დეპეშის ასლს წარმოადგენდა. იგი ბევრმა წაეკითხეთ. დეპეშა მართლაც იტყობინებოდა ლენინის გარდაცვალებას. იმ დღეებში სოფელი გართობასა და ხალისს მოსწყდა. სოფელს სამგლოვიარო ელფერი მიეცა.

ილიჩის დასაფლავების დღეს სოფლის მოსახლეობა სკოლის ეზოში შევიკრიბეთ. ტრიბუნის მაგიერობას სკოლის წინა აივანი ასრულებდა. აქ იღვა ერთი მაგიდა, რამდენიმე სკამი და სვეტზე შავი არშიებით მორთული ილიჩის პორტრეტი იყო დაკიდებული. იანვრის ცივი ნიაფი ქროდა. მოუხედავად სუსხიანი ამინდისა, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. სამგლოვიარო მიტინგიც დროზე გაიხსნა. ლენინის მოღვაწეობისა და მნიშვნელობის შესახებ სიტყვები წარმოთქვეს. ვალობის მასწავლებლის მიერ შედგენილი გუნდი სამგლოვიარო სიმღერებს ასრულებდა. ის დრო, როდესაც მოსკოვში ლენინის ნეშტი უნდა მოეთავსებიათ მავზოლეის კედლებში, მიტინგის ხელმძღვანელმა ხალხს აცნობა. ხალხში საშარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სამოდენ დროსა, რომლებიც ტრიბუნის ახლოს კომკავშირელებს ეჭირათ ხელში, ქვევით დაიხარა. ეს მდგომარეობა რამდენსამე წუთს გაგრძელდა. შემდეგ ბევრი არაფერი მომხდარა. სამგლოვიარო მიტინგი დაიშალა. ასე გამოვეთხოვეთ საყვარელ ბელადს, ვლადიმერ ილიჩს, ცენტრალურ ქალაქებს დაშორებული სოფლის მოსახლეობა. ეს იყო ათი წლის წინათ, 1924 წლის იანვრის ბოლოს.

— ვინ გავიწვევს ლენინის მაგიერობას? — ლაპარაკობდნენ ხალხში.

— კომუნისტური პარტია ძლიერია. პარტია გავიწვევს ლენინის მაგიერო ბას, — ამბობდნენ ზოგიერთები იმავე ხალხიდან. ესენი მართლები იყვნენ. მოკვდა ლენინი, მაგრამ დარჩა მისი მოძღვრება — ლენინიზმი.

საკავშირო კომუნისტურმა პარტიამ ლენინიზმის სიბრძნით გავიწვია ლენინის მაგიერობა. ამავე პარტიამ მოგვცა მსოფლიო პროლეტარიატის მეორე საყვარელი ბელადი, ლენინის ღირსეული მოწაფე ამხ. სტალინი, რომლის მტკიცე ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი წარმატებით აშენებს სოციალიზმს.

გ. კაპხინიძე.



აბა, ჩქარა, ყმაწვილებო,  
წამო, გიგო, წამო, თომა,  
შეხე, შეხე, რანაირად  
წამობარდნა, წამოთოვა!

ვანო, ციგა წამოიღე,  
შენ კი, ვახტანგ, შენი თოფი,  
აბა ჩქარა, აბა სწრაფად,  
აეირბინოთ ეს ფერდობი!

ერთი შეხე: იქ რამდენი  
ბელურა და შაშვებია!  
ზოგი ჯდება, ზოგი ფრინავს,  
შეხე კარგად: რას შვრებიან?

შიცებართ, მოცუართ...  
დავუმიზნოთ შვილდ-ისარი...  
ოპო-პო-პო, რა კარგად თოვს,  
როგორ თოვლით მოქრის ქარი!

აბა, ჩქარა, ყმაწვილებო,  
წამო, გიგო, წამო, თომა,  
შეხე, შეხე, რანაირად  
წამობარდნა, წამოთოვა!

ნოე დაფრანელი.





1.

გუშინ დილიდან რომ დაიწყო, მთელი დღე თოვდა. ბარდნიდა. გადათორდა მინდვრები, გორები, და სოფლის მიღმა დაყუდებული მალალი მთები სრულიად არ ჩანდა თოვაში. საღამოთი სოფელში ოდები ვადათოვლეს..

— ამაღამ ისევ ითოვებს, სახლი თუ არ გადაითოვლა, დანგრევეს თოვლი!—დასკენა ბაბუა ფილომ და ბუხარში მოვიზვიზე კოპიტის შეშის ნაკვერჩხლით ყალიონი გააბოლა.

გარეთ ისევ თოვს. ბავშვები სახლში ვერ შემოიტყუეს. ხუთი დღეა, რაც ჩამოვიდნენ თამრო და გულნარა ქალაქიდან, მაგრამ ჯერ მათ ონაერობას ბოლო არ უჩანს, აპყალიან პატარა დოდოს და ახლაც ციგაობით ერთობიან.

— დოდო, თამრო, სახლში შემოდით, გეყოთ, გაცივდებით!—ეძახის დედა მზრუნველობით. ზამთრის პატარა დღე უკვე მიიწურა. ტყით შემოსილი ფერდინდან გლეხები შემით დატვირთულ ურმებს მოაქრიალებენ. თოვლი სკლად ედება ურმის თვლებს, და ხარებს საგრძნობლად უძნელდებათ გაწევა... სოფელში გაბმით ყეფენ ძაღლები, და თოვლის ფარტენა ისევ ეცემა მიწაზე...

— დოდო, არ გესმის?— ისევ ეძახის დედა.

— მოვდივართ, დედი, მოვდივართ!

და რამდენიმე წუთის შემდეგ ბავშვების სიცილ-კისკისი ისმოდა ოთახში... თამროს ხელები სულ გათოშილი აქვს, ლოყები კი მთლად ასწითლებია და ერთიანად ძაგძაგებს.

— საღ ხართ ამდენ ხანს! სულ საცემი ხართ, თქვე ცუდლუტებო!

— ე, რომ იცოდე, დედი, როგორი ქარხანა გავაკეთეთ! სწორედ ისეთი, რომ თამროსაც არ უნახავს ქალაქში. მუშაც გავაკეთეთ თოვლის ჩაქუჩით...

— მართალია, დედი! მართლაც კარგი რამ გამოვიდა!—ემოწმება თამრო და გათოშილ ხელებს სიცილ-კისკისით იზელს. ბაბუა ფილო თოვლივით თეთრ წვერებს ივარცხნის, ხალისიანად იცინის და თამროს ალერსით უსმენს ქალაქის ამბებს...

გარეთ კი უკვე ჩამოხნულა... ძლივს საიდანღაც ძაღლის ყეფა თუ მოისმის, თორემ სხვა ხმა არსაიდან მოდის. ხანდახან რომ ყმულიც წამოვა გაბმით, ეს მახლობელ ტყეში მშვიერი მგელი თუ დაძრწის...

ყინვაში ფანჯრები მთლად გაიორთქლა.

ხანდახან ქარიც დაბერავს. ფანჯარასთან მდგარმა ბებერმა კაკლის ხეზე

ტები დაიფერთბა, ხითქოს მძიმე ტვირთისგან განთავისუფლდაო.

ქარი ისევ ზუზუნებს და ურევს თოვლსა და ნაშქერს...

ნამდვილი ზამთრის ღამეა, თოვლიანი და ნაშქერიანი.

ბუხარში კი გუზგუზებს კოპიტის შეშა და საამურად ნაკვერჩხლდება.

ბაბუა ფილა წარსულის ამბებს მოუთბრობს ბავშვებს...

გარეთ ბნელი ღამეა. თოვლი ისევ ბარდნის მთაბარს.

## 2.

რიტრაემლის არ გადაუღია, უწყვეტლევ თოვდა... ძალღების გაბმული ყფა რომ შეწყდა, მამლებმა იყიელეს.

ფრთხილად წამოადგა თამრიკოს დედა, ტანთ ჩაიცვა და ბოსლისკენ გაუყვა.

— ოი, რამდენი უთოვია!

თოვლში ეფლობა და ძლივსა მიაბიჯებს.

ბოსელი გაალო, ძროხას თივა მისცა. ფიჩხით ცეცხლი გააჩაღა.

— ე, ახლა კი გავხარე ჩემი ქალაქელი გოგონა! — ჩაილაპარაკა, როდესაც ცეცხლის სინათლეზე შეამჩნია, რომ მის პატარა კურდღელს ბაჭიები დაუყრია.

ყველაფერი მიაღაგ-მოაღაგა, ძროხა მოწველა და რძის ჭოთნით ხელში ისევ ოღაში დაბრუნდა. ბავშვებს ისევ ეძინათ. დედამ ფრთხილად შეანძრია ღოღოსა და თამროს საწოლი.



— თამრიკო! გენაცვა, ჩვენს ნაცარა კურდღელს ბაჭიები დაუყარია!!

— მართლა, დედი?

წამოხტა დოდო და ჩაცმის შეუღდა.

— წაიდეთ, ვნახოთ! — სიხარულით ხტის თამროც.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

რამდენიმე წუთის შემდეგ ბავშვები ათვლიერებდნენ გულთეთრ და მონა-  
კრისფრო ბაჭიებს და სიყვარულით გულში იხუტებდნენ, თან ჩალაბულას ახევე-  
დნენ, რომ არ შესცივდესთ ბაჭიებს...

— ნეტავ ასეთები ქალაქში გვყავდეს, მოვაშენებლით!  
იძახის თამრო და უხარია.

— ქალაქში რა უნდა! აქ მისთვის ყველანაირი საქმელია: კომბოსტო,  
სტაფილო, იქ კი რა უნდა აქამოთ, — ტიტინებს დოდო.

— მართალი ხარ, დოდო, აქ ყველაფერია. დედა, მაშინ რატომ არ იფი-  
ქრა ამდენხანს, რომ კოლექტივში გაიჩინონ ასეთი ლაბაში კურდღლები?

— ე, შვილო, ათასი საქმე აქვს, ალბათ, არ მოაგონდა...

— ჰო და, დედი... მაშ ორი კურდღლის ბაჭია მივსცეთ კოლექტივის, მოა-  
შენებენ და მერე, მე რომ ზაფხულში ჩა-  
მოვალ არდადეგებზე, სოფელში ბევრი  
ნაცარა კურდღელი გვეყოლება!

— მივსცეთ, დედი, მივსცეთ! ყველას  
გაეხარდება... მასწავლებელმაც თქვა! — უხა-  
რია დოდოს.

— კარგი, თამრიკო, მაგრამ არდადე-  
გების შემდეგ ქალაქში რომ წახვალ, ვინ  
მიუტანს კოლექტივში კურდღლებს კომ-  
ბოსტოს?


— მე, დედი, მე! — აღტაცებით ამბობს  
დოდო.

ერთი კვირის შემდეგ, ქალაქში წასე-  
ლის წინ, თამრომ დოდოს თანხლებით  
მიიყვანა კოლექტივში ორი ნაცარა კურდ-  
ღელი. ყველას გაეხარდა ეს... ნაშუადღევს  
კი თამროს რკინისგზის სადგურზე აცილუ-  
ბდნენ ქალაქისაკენ.

3.

გავიდა დრო.

ერთ ყინვიან საღამოს ვიღაცამ ზარი  
დარეკა... თამრომ ჩამოირბინა კბე. ფოს-  
ტის დამტარებელი იყო. მან ტყავის ჩან-  
თიდან წერილი ამოიღო და გადასცა თამ-  
როს. როდესაც ისევ აირბინა კიბე და  
ოთახში კონვერტს დაჰხედა, ზედ მრგვალი  
ასოებიან შემდეგი მისამართი იყო აღნი-






შეული: ქ. ტფილისი, ლერმონტოვის ქუჩა,  
№ 6. თამარ თეთრაულს.

მისამართის ცოტა ქვემოთ მიწერილი  
იყო: „დოდოსავან“.

საჩქაროდ გახია კონვერტი და წერი-  
ლი გამოვლია.

„ჩემო თმრიკო!



საქართველოს  
საზღაპროსა

რაღაც წამოხვეულ, კარგი დრო გავიდა. პირველად მოვწყინდი უშენობით...  
ახლა გულიანად ვეცადინებო. აქ რომ დავამთავრებ, მეც წამოვალ ქალაქში.  
სხვა, მოკითხვას ვითვლიან ქეთო და მარო. დედამ შემოვიტოვებია, კარგად ის-  
წავლეთო. ბაბუა ფილო მუდამ გიგონებს. მოიწერე წერილი... მართლა, მავი-  
წყდებოდა, თმრიკო! გახსოვს, მე და შენ კურდღლები რომ მივიყენებთ კო-  
ლონეტოვში, უკვე დაიზარდნ... ახლა ბავშვები მათ „თმრიკოს კურდღლებს“  
ეძახიან. კოლონეტოვმა შეიძინა კიდევ რამდენიმე კურდღელი, და როდესაც  
ჩვენი ორი ნაცარა გაერგვა თეთრგულა კურდღლებში, გაგებარდება... როდის  
წამოვალ? არდადგეგბამდის ბევრი დრო დარჩა, თუ იცი? მეტი რა მოგწერო...  
ნახვამდის! წერილი გამოგზავნე.

შენი დაიკო დოდო“.

წერილი დაკცა. მოაგონდა. სოფელი, ზამთარი, ბაბუა ფილო, კოლო-  
ნეტოვი და ორი ნაცარა კურდღელი, თეთრებში არცული, გაეხარდა. მიუჯდა იქვე  
მაგილას და საპასუხო წერილის წერას შეუდგა...

გარეთ უკვე ბინდი იყო.

ძალზე ყინავდა. საღდაც საბარგული მორაბზარებდა.

ისმოდა ტრამვაის წკრიალიც...

ქვეით კი, გაორთქილილი ფანჯარების იქით ქალაქი ციმციმებდა ელვ-  
ქტროშუქით...

დავ. შამათავა.



ტატომ დღეს ბევრი იხტუნა,  
ამ ცელქმა, სუგრუმელამ.  
თოვლაობაში დაჯაბნა  
ამხანაგები ყველა.

ახლა ოთახში შემოძვრა  
ჩვენი პაწია „გმირი“,  
შეხედეთ: სიცივისაგან  
ასწითლდება ცხვირი!

ჯერ ცეცხლის პირას ვაიშრო  
ტანისამოსი სველი,  
შემდეგ მაგიდას მიუჯდა,  
წიგნს წამოავლო ბელო.

ტატო ბეჯითი ბიჭია,  
დროს არ გააცდენს უჭმად.  
მასწავლებელსაც რამდენჯერ,  
იმისი კება უთქვამს!

ახლაც რაღაცას კითხულობს  
დედის გულგასახაროდ,  
ხან შეიკუმუნის წარბებს და  
ხან გაილიმებს წყნარად.

მაღე ეს არდადეგებიც  
ასე ხალისით გავა,  
თხუთმეტ იანვარს ბიჭიკო  
ისევ სკოლაში წავა.

გიორგი კალანდაძე.



# მურას სსკვა



არ ველოდით, ისე აღრე  
 აცივდა და დაგვითოვა.

ჩვენმა ძაღლმა დიდ მანძილზე  
 სიარული მიატოვა.

ზის კერასთან მოწყენილი,  
 თვლებს და თათით იფხანს კისერს,  
 ჩვენს სიტყვას და ჩვენს ნაამბობს  
 ჭკვიანივით თითქოს ისმენს.  
 თვალს გაახელს, შემოგვებედავს  
 და დაარბევს ფრთხილად ყურებს.  
 რა შეგვატყობს არას ვერჩით,  
 თათს ნაცარში დიდხანს ურევს.  
 დედის მოსდის ზოგჯერ ბრაზი  
 და გააგდებს გარეთ მურას...

დრო გაივლის, —

ჩუმად ძაღლი

მოგვიჩვენება ისევე ძმურად.

და ისევე მოწყენილი

თვლებს და თათით იფხანს კისერს,

ჩვენს სიტყვას და ჩვენს ნაამბობს

ჭკვიანივით თითქოს ისმენს.

ღამით, როცა ბურულს ყინვა

ჩამოჰკიდებს ბროლის მძივნებს,

მურა, თითქოს გულნატკენი,

არ ჰშორდება ჩაღის ზეინებს.

მშრალ ფუჩქში წევს და ხერინავს.

გაუფუჭა ძროხას სარჩო,

მამა ბრაზობს, ღამეებში

რომ არ ყფის და არ გვედარაჯობს.



რა ქნას!

სცივია, ბებერია.

ეყო, რაც ის გვემსახურა.

დრო იყო, რომ ცივ ზამთარში

დარბოდა და ყეფდა მურა.

რიზი ჰქონდა.

დღეს ყინვისგან

ძლივსღა დადის, ტანი ეწვის.

თვალში ცრემლი მოერიცა,

დაუძლურდა, სცივია ბეწვი.

თვლებს და დარდობს...

მაინც როგორ

აცივდა და დაგვითოვა!

ჩვენმა ძაღლმაც დიდ მანძილზე

სიარული მიატოვა.

გიორგი კაჭახიძე.



# თოვლი

## 1

ტფილისში ზამთარი მზიანი, მაგრამ სუსხიანი ტაროსით დაიწყო.

გიგლა ყოველ დღით ადრე წამოხტებოდა, ხელ-პირს ცივი წყლით დაიბანდა და თმას კობტად გადივარცხნიდა. ლამაზად გამოწყობილი, ცელქი, ცქრი-ალა თვალებით, მიცუნცულობდა სკოლისაკენ. მას პურის ნაჭერი ხელში ეჭირა და მიდიანად მიილუქებოდა, ხან შინიდან დანაყრებული მიდიოდა.

გიგლას თბილი პალტო ეცვა და დილით, როცა ამზანაგებთან ერთად სკოლისაკენ ხტუნვით გასწია, მისმა მოუსვენარმა თვალმა, წყნეთისაკენ რომ გორაკები იწყება, იქ ახლადდათოვლილი მიდამო დაინახა.

ღვეკმბრის მზის ცივი სხივები აღმაცერად ეფრქვეოდა წყნეთის გორაკებს, და თეთრი თოვლი წითლად გამოკრთოდა.

— უჰ, თოვლი მოსულა! — სიხარულით უთხრა გიგლამ თავის პატარა ამზანაგებს.

— აქაც ჩქარა მოვა, აქაც! — სიცილით იმეორებდნენ პირველი თოვლის დანახვით აღფრთოვანებული ბავშვები.

მათ თოვლი უყვართ, რადგან მაშინ გუნდაობას გამართავენ, დაიწყებენ შიგ კოტრიადს და ყირამალა დატრიადლებიან. გააკეთებენ თოვლის კაცებს და, ვინ ჩამოთელის, რამდენ სიხარულს განიცდიან...

გიგლას მამამ სწორედ გუშინწინ მიიღო შეშა.

ზავსული იყო მაშინ, როცა მან შეშა გამოიწერა, და ახლა შეშით დატვირთული ავტომობილი კარზე მოადგა. მათ ოჯახში ჩქარა ცეცხლი დაინთება...

უხარია გიგლას თოვლის მოსვლა.

## 2

ეს ღრუბლებით იყო აქრელებული.

მშემ დილით თავი ამოყო, მაგრამ ღრუბლების ნაქრები სშირად ვფარებოდა. იგი ღრუბლებიდან ხანდახან ისე გამოყოფდა თავს, თითქოს ეცინებოდა. მისი მკრთალი სხივები ღვედამიწის ღიწილით ეფრქვეოდა.

ბავშვები სკოლაში ჯერ კიდევ არ იყვნენ შესულნი, რომ მზე წველებ-  
თელა ნაბადივით გაქრულ ღრუბლებში დაიმალა.. ახლა იგი თითქმის სამუდამად  
მოდ მოედარა ღრუბელთა გროვას.

სალამომ მოატანა. მზე აღარ ჩანდა. ეს კილით-კიდეშდის რუხი ღრუბლით  
იყო გაველილი. ყველგან მუფდროება იყო ჩამოწოლილი. ყოველი სულდგმული  
რალაც ახალის მოლოდინში იყო. ღრუბლიანი ზეცა სინესტით იყო საესე და  
გაბუჭულივით იცქირებოდა...

— რას იტყვი, თამაზ, თოვლი მოვა, არა? — შეეკითხა სახლის წინ მდგომი  
გიგლა პატარა ამხანაგს და ცაზე გაშლილ ღრუბელს ათვლიოერებდა.

— ჰო, მგონი...

უბასუხა თამაზმა რალაც ყოყმანით.

— ერთი, თოვლი მოვიდოდეს და... უჰ, როგორ ცივაობას ვაეჩალებთ  
ამ დღინართზე!

— მთელი ჩვენი უბნის ბიჭები აქ მოგროვდებიან! ასეთი საციგაო ად-  
გილი აჭეთ ერთიც არ არის! — საბასუხით ლაპარაკობდა მზიარული თამაზი და  
ღრუბლებით დამძიმებულ ზეცას თვალს არ აშორებდა.

გიგლა და თამაზ დიდხანს იდგენ ვარეთ და სულ ამინდისა და ღრუბლე-  
ბის შესახებ ლაპარაკობდენ. ისინი ერთიმეორეს ეკითხებოდენ:

— ასეთმა ღრუბლებმა თოვლი იცის თუ წვიმაო.

როცა ისინი ასე საქმიანად საუბრობდენ და ძალიან გატაცებული იყვნენ  
თოვლის მოსვლით, აქ დროს მამა აიენიდან ისმენდა გიგლასა და მისი ამხანა-  
გის გატყარებულ საუბარს.

— მოდი ჩემთან, პატარა ასტ-  
რონომო, სიცივემ არ დაგკრას.

გიგლა და თამაზი „ასტრონო-  
მის“ გაგონებამ გააეკრფა.

ისინი მაშინვე დატრიალდენ და  
კიდევ მიამურეს.

— მამა, როგორ აღამიანს ჰქვია  
ასტრონომი?

მამას ჯერ ვაეცინა და მერე პა-  
სუხი მოამზადა. იგი ცოტახნით და-  
ფიქრდა, თუ როგორ აეხსნა პატარა  
გიგლასათვის ეს სიტყვა. რამდენიმე  
ხნის შემდეგ მამამ ასე განმარტა:

— ასტრონომი ისეთი კაცია,  
რომელიც მნათობებს, ე. ი. მზეს, მთვა-  
რესა და ვარსკვლავებს იველფეს... სად  
არის ისინი მოთავსებული, როგორია  
მათი აეგებულება და სხვ. ასტრონომი



მლამ? ცას ათვლიოერებს და ამიტომ დაგიჩახე შენ პატარა ასტრონომი.

— ჰოდა ჩემი დასვენაა, რომ ამალამ თოვას დაიწყებს.

გიგლა იცინოდა.

შინარული იყო თამაზიც, რადგან მათ ამ საღამოს გიგლას მამამ ახალი სახელი დაარქვა. ირგვლივ სიბნელე ნელნელა ეშვებოდა. ბავშვებმა რძინა და მამას შიამურეს.



3.

გიგლას ადრე გამოეღვიძა.

მან დიდხანს იტრიალა ლოგინში აქეთ-იქეთ. მამა ყურს უდგებდა და ბოლოს გამოელაპარაკა.

— ბიჭო, შესაწვევ გოკივით რომ ტრიალებ, რა დაგემართა?

— აუღგეთ, უკვე გათენებულა, — უპასუხა გიგლამ.

ოთახში მართლაც არაჩვეულებრივი სინათლე იყო შემოჭრილი. გიგლამ მართალი თქვა: ან გათენებული იყო, ან სხვა რამ იყო მიზეზი. გიგლა უდროოდ შემოჭრილმა სინათლემ შეაცდინა, თორემ ჯერ რიერატიც არ იყო და გათენებას ორი თუ სამი საათი მაინც უკლდა.

პატარა ბიჭს აღარ დაეძინა, და მის სიფხიზლეში მოატანა განთიადმა. გიგლამ ვერ მოითმინა ლოგინში კოტრიალი და ყველაზე ადრე წამოხტა. მან კართან მიიღინა და გასწია ფარდა. მთელი არემარე თეთრად იყო შემოსილი. მათი სახლის წინ რომ ნახვი დგას, მის შტოებზე თოვლი ბამბასავით იყო დაფენილი და ტოტები ლამაზად იყო ჩამოხეკილი ძირისაკენ. მალეიდან თეთრი ჭაღალდის ნაჭრებივით მოდიოდა თოვლის ფართე ფანტელები.



ბუნების ამ თავისებურ სილამაზეს გიგლამ ერთ წუთში მიმოავლო თვალი, ბურთივით აბტა-დაბტა და მკვირცხლად დაიძახა:

— თოვლი! თოვლი მოსულა!

— აბა რაღა გიჭირს, — უპასუხა მამამ სიცილით.

გიგლამ თბილი ტანისამოსი ჩაიცვა, ამასობაში ეზოდან ბავშვების ყინეცა მოისმა. ამ ხმაურობის ვაგონება და გიგლას გაქცევა, თავისი ცოვით, ერთი იყო...

ტფილისის განაპირა უბანში მყუდროება იყო, მაგრამ ბავშვების ყინეცა ჭალაჭი ააღვლევა.




ბავშვებმა დაღმართზე დიდხანს იციგაყეს. როცა ისინი თანაშობით დაი-  
ქანცნენ, როცა სიცივემ ხელები აუწვიათ და ლოყებიც აუწითლდათ, მაშინ ში-  
ნისაყენ გაიქცენ.

ლაშაზია ზამთარი, მაგრამ მეტი სიმკაცრე სდევს, ამიტომ ბავშვებს უნდა  
რჩებათ გულში მისი სიყვარული...

გიგლა გახურებულ ლუმელთან მივიდა [და როცა ხელები გაითბო და  
ჩამოშრა, თავის საკუთარ მავიდასთან მიიბრინა, წიგნი გადმოიღო, რვეული გა-  
შალა და საზამთრო არდადეგებისათვის მოცემული დაფალების შესრულებას  
მყოფი ხელი.

ლავერენტი ჭიკინაძე.

## შიო მღვიმელი



განა მოგვეყინდა ჩვენს პატარა ჟურნალებში ძია შიოს საუბარი? განა  
ყოველწახალ ნომერში გულისძგერითა და სიხარულით არ ვადაშლიდით იმ გვერდს,

სადაც „შიო მღვიმელი“ ეწერა? განა ყველანი სიყვარულით არ ზებობდნენთ მის ლექსებს, იმ ძია შიოსი, რომელმაც მრავალ თქვენისთანა პატარას ახლად და წინათაც დედის აღერსთან ერთად შეაყვარა თავი, რომელმაც მისი ლექსები ბევრი კარგი რამ, მზრუნველობით, სიყვარულით და ფაქიზად?

მოკვდა ძია შიო. ჩვენ ჟურნალებში ველარ ნახავთ მის ახალ ლექსებს, გამოთბარს ბავშვების სიყვარულით. ვერ შეხედებით ჩვენს შიოს ქუჩებში მოკლევადიანად, მუდამ რომ დიმილი უკრთოდა სახეზე.

მაგრამ შიო ჩვენთან კიდევ დიდხანს ისაუბრებს, ამგვარი ხალხი სიკვდილის შემდეგაც საუბრობს მრავალ თაობასთან, იმით, რაც მათ ამ ქვეყნად დატოვეს. და განა მართლა ოდესმე მოკვდება შიოს ლექსები, რომლებითაც მან ასე ძლიერ შეგვიყვარა თავი? ისინი იცოცხლებენ, იარსებებენ და პატარა ჩვენს და-ძმებს მოუთხრობენ მრავალ ახალს ამ კარგ ადამიანზე.

შიო ქუჩუკაშვილი (მღვიმელი) დაიბადა 1866 წელს სოფ. ბრეთში (გორის რაიონში). ბავშვობის საუკეთესო წლები სოფ. ვარიანში გაატარა, სადაც იმ ხანებში საცხოვრებლად გადავიდნენ მისი მშობლები.

მწერლის მამა ადრე გარდაიცვალა, და პატარა შიო სკოლის გარეთ დარჩა. 1881 წელს მაშინდელი საზოგადო მოღვაწის—შიო დავითაშვილის—რჩევითა და დახმარებით მომავალი პოეტი შიო მღვიმელი ძმებმა გორის საოსტატო სემინარიაში შეიყვანეს. აქ იგი დაუახლოვდა ჩვენს დიდ მწერალს ვაგა ფშაველას და მის ძმებს—ზაჩანასა და თედო რაზიკაშვილებს.

აქ დაიწყო შიო მღვიმელმა სალიტერატურო მოღვაწეობა. მისმა პირველმა ლექსმა „ნატურა“ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში, განსაკუთრებით მოსწავლედ თაობაში. ამ ლექსისთვის სემინარიის გამგეობამ გადაწყვიტა შიოს დათხოვნა სასწავლებლიდან, მაგრამ ბოლოს იგი იხსნა სემინარიაში მყოფმა ზოგიერთმა მასწავლებელმა. 1887 წელს შიო მღვიმელი ტფილისში ჩამოვიდა. პირველ ხანებში იგი მუშაობდა წიგნის გამყიდველად ერთ-ერთ მაღაზიაში. ამ დროიდან მოყოლებული, შიოს ხელიდან კალამი არ დაუგდია სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიაც შიო წერდა ჩვენი რედაქციის დავალებით ახალ ნაწარმოებებს, ახალ ლექსებს.

მეტად სასარგებლო და ნაყოფიერი მუშაობისთვის, ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს მშრომელთა განსვენებულის სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი წლის თავი იზეიმეს, ხოლო სამკოთა მთავრობამ იგი დამსახურებული მწერლის სახელწოდებით დააჯილდოვა და ნივთიერად უზრუნველყო.

დავასაფლავეთ ძია შიო დიდუბეში, ქართველ მწერალთა პანთეონში, სადაც ასვენია ჩვენი სამაყო და სახელოვანი მოღვაწეები. დაე, მისი საფლავი იყოს მათ შორის ერთი საყვარელი საფლავთაგანიც.

ჩვენ კი, რომელთაც თვალწინ ცოცხლად გვიდგას შიოს სახე, მისი პატარა სხეული, მისი ტკბილი ენა, მის ხ.ოგნას შევინახავთ ისეთივე სიყვარულით, როგორც მას უყვარდა ჩვენი პატარები.

ჩვენი ჟურნალი ემშვიდობება ძია შიოს, თავის ძვირფას და ერთგულ მეგობარს, ემშვიდობება და წუხს, რომ თავის პატარა მკითხველებს ვეღარ წავაგებთ ძია შიოს ლექსებს და მით ვერ ვახარებთ.

მშვიდობით, შიო!

ი. ა.

## ძია შიო

ზამთრის სუსხმა  
დაგვისუსხა  
მოამაგე მგოსნის გული,  
აღარ გვათბობს ძია შიოს  
უნაზესი სიყვარული.  
გაითოშა ეზო, სახლი,  
ყველგან თოვს და ყველგან ცივი,  
ჩვენი უშენოდ ვზივართ თაღებით,  
მწუხარების ცრემლი გვცვივია.  
შენ გიყვარდა თეთრი ზვარი,  
შენ გიყვარდა თოვლის მოსვლა,

შენი ლექსის თეთრი ბწკარი  
დღეს შავებში შეიმოსა.  
ეს ზამთარიც წაეა ნელა,  
მალე მოეა გაზაფხული,  
გაიშლება მინდორ-ველად  
სიმღერები სიხარულის.  
და შენ, ძია, ამ სიმღერის  
ბევრი ია-ვარდი თესე...  
დაიხსომე: შიოს მერცხალს  
ქვებს ნუ ესერი, ბიჭო სესე!  
მიშქარალი.

## ძია შიო რაჭაში

1922 წელს სოფ. ხიდისკარში (რაჭა) ეცხოვრობდი, სადაც მასწავლებლად ვიყავი.

ძალიან ერთფეროვანი იყო ასეთ მივარდნილ კუთხეში ცხოვრება, მაგრამ ეს ერთფეროვანება საყვარელი საბავშვო მწერლის შიო მღვიმელის მოულოდნელმა სტუმრობამ დაარღვია.

ჩვენ, მასწავლებლებმა, გადაწყვიტეთ ამ ძვირფასი სტუმრობით გვესარგებლა, და სასწრაფოდ შევეუდევით მის პატივსაცემად საღამოს მოხაწყობად სამზადისს.

მართლაც გაეუმართეთ საღამო, სადაც მოწადეებმა ძია შიო არა მარტო ლექსების საშუალებით, არამედ პირადადაც გაიცივენს და შეიყვარეს.

განსვენებულს ბავშვის ბუნების გაგებისა და ხასიათის აღიარების იშვიათი უნარი ჰქონდა. მაგონდება შემდეგი პატარა შემთხვევა: მაშინ ჩემი ბავშვი ოდნავ ნასვამს ან უცხის ძალიან უნდობლად ეკიდებოდა, მათ მოაღიერებდაზე უსათუოდ პირს იბრუნებდა და ტირილს დაიწყებდა, ძია შიოს კი პირველ ნახვისთანავე თვით წაეპოტინა და წვერებზე ხელით ეთამაშებოდა. ამანვე განსვენებულმა სიცილით თქვა:

— ხედავთ, იქნო ძია შიოო...

რამდენიმე დღის შემდეგ მასწავლებლები, და მათ შორის ძია შიოც, აივანზე იდგენ და ობუნჯობდენ.



შიო მღვიმელი ბავშვებთან. 1915 წელი.

ბავშვით რომ გავედო, მასწავლებლებმა მოიწიეს ბავშვის მოსალერესებად, მაგრამ ბავშვი არცერთს არ მიეკარა, თვით მამის მოალერესებაც კი პირი იბრუნა და ტირილი დაიწყო.

მამინ ხუმრობით მიმართეს ძია შიოს:

— აბა, შიო, დაგვიტყე, რომ შენ ბავშვების მესაიდუმლე ხარ, აიყვანე მე ბუთხუზა.

ძია შიომ გაიტყინა, რალაც განსაკუთრებული ნაზი გამომეტყველებით, თავისებური წყნარი მიმოხეცით, საამური აღერსიანი ხმით ბავშვს გაეთამაშა, შეუღლიტინა, და ერთი წამის შემდეგ ატირებული ბავშვის ნაცულად ძიას შიო აიგანზე ახითხითებულ ბავშვს დაარბენინებდა.

იქ მყოფთ ეს ამბავი თითქმის სასწაულად მიიჩნიეს.

შიომ რამდენიმე კვირა დაყო ხიდისკარში. ბევრ ბავშვს, და მათ შორის ჩემს პატარა ბიჭსაც, უძღვნა ლექსები. და, რაც უფრო სასიხარულო იყო, დავვიტოვა ლექსი რაჭის ბაღლების მიმართ, რომელიც ჩვენს მიერ გამართულ საღამოზე წაიკითხა. აი ისიც:

### სალამი რაჭის ბაღლებს!

მოგესალმებით, ბაღლებო,  
წრფელის სულით და გულითა,  
მუდამ ხალისით აესილი  
ბუნების სიყვარულითა.

სუ თქვენი ვხედავ თუხეის  
 ლამაზ ვარდსა და იასა,  
 თქვენი სიკოცხლე ახარებს  
 ქალარაშერთულ ძიასა.  
 სული და გული, თვალყური  
 თქვენკენა მქონდა რეზული,  
 მომავლის დიდი იმედი  
 თქვენზეა დამყარებული.  
 აყვადით, ფრთები გაშალეთ,  
 სიმხნევით შემოსილებო,  
 ლალი ბუნების ორბებო,  
 დიადი მთების შეილებო!  
 სალამი, კიდევ სალამი  
 უხვი და დაუღეველი,  
 უკეთამც ავიყვადებათ  
 რაქის შთა, რაქის ტყე-ველი!

ხიდისკარი  
 1922 წ.

შიო [მღვიმელი.]

ძნელია მოგონება... ის ბიჭუნია, რომელმაც მია შიოს მოაღერსება მი-  
 ილი, რომელმაც მხოლოდ მია შიოს ქალარა წვერს მოუცატუნა თავისი პატარა  
 ხელები, დღეს აკრემლებული მომვარდა:

— დედა, გაიგე? მია შიო მომკვდარა!

დიდია დანაკლისი ჩვენი ბავშვებისათვის. ძნელი ასატანია ასეთი საყვარე-  
 ლი ადამიანის დაკარგვა, უწყინარი და ტბილი შიოს დაკარგვა! ამას გრძნობს  
 თითოეული ბავშვი, რომელსაც კი მისი თუნდაც ერთი ლექსი წაუკითხავს.

ძვირფასო შიო, მიიღე ბავშთა მწარე გოდება! მათი უმანკო სრემლები  
 შენთვის საუკეთესო გვირგვინია...

ნ. ბენდუქიძე.

## გოგო უნდა ამისთანა.

გოგო უნდა ამისთანა:

ადრიანად ნახავს წიგნებს,  
 კითხულობს და ამით ნანა  
 ცხოვრებაში გზა-კვალს იგნებს.  
 შემდეგ სკოლას მიაშურებს,  
 იცის, სწავლა მას რომ არგებს.  
 არავის არ მოიმღურებს,  
 სურს მიჰბაძოს ყველა კარგებს.  
 მას უწერენ სულ ფრიადებს,

სუფთაობს და იწმენდს თითებს,  
 არ გააცდენს სწავლის ვადებს  
 და ის მუდამ იბეჯითებს.  
 დარდი რაა? იგი ღიბინობს,  
 უმცროს მასაც ეხმარება  
 და მუდამღლე მეცადინობს.  
 თქვით, ნანას ვინ შეედრება!

შ. სამადაშვილი.

# თედოს



საბჭოთაო  
დაბეჭდვის



(გაგრძელება)

2.

— როდესაც ჩვენი პატარაბელი ჩაქვის სადგურს მიუახლოვდა, თედოსმა წარმოგვიდგა ძალიან ფართო ხალიჩა, პატარ-პატარა ჩირგვებით მორთულ-მოკაზმული, — განაგრძო თედომ თავისი მოთხრობა ამხანაგ-მოწაფეებს შორის

რადგანაც ახლა უკვე სამთარი ქიყო და გარეთ თოვდა, მისი ამხანაგები სკოლის სამკითხველოს ერთ კუთხეში მოკალათებულიყვნენ. ისინი აქ შეკრებილიყვნენ კულტურული გასართობისათვის.

— წავიდეთ გარეთ, ეზოში, ვიგუნდათ! — უკრძელობდნენ ზოგიერთები.

— არა, არა, აქ სულობია, აქ დაერჩეთ! — მოითხოვდა უმრავლესობა.

— ახლა თედოს გერია, ნუ აწყვეტინებთ; განაგრძოს, ჩვენ კიდევ სიტყვებ დავიცვათ, რომ სხვებს ხელი არ შევეშალოთ.

— ამ ფართო ხალიჩაზე ღამაზად წამოკიპული თეთრი შენობები იპყრობდა ჩვენი ექსკურსანტების ყურადღებას. ყოველი ჩვენგანი ვაგონის ფანჯარასთან იღვდა და გატაცებით აცქერდებოდა ამ ზღვის ტალღასავით აგორებულ ჩაის ბუჩქებს, — განაგრძო თედომ, და ყველა სმენად გადაიქცა.

— ჩვენი ექსკურსია ოცი მოწაფისაგან შედგებოდა, ოცდაპირველ მე ვიყავი; ქობულეთის სკოლის მასწავლებლის მეთაურობით მოეწყო ეს ექსკურსია.

— შენ როგორღა მოხვდი, შენ ხომ დასასვენებლად იყავი ქობულეთს ჩასულა? — შეაწყვეტინეს თედოს.

— მე ჩემმა მეგობარმა მევლულ ცინარიძემ მაძინა, ექსკურსია ეწყობა და შენც წამოდი!

— ეს, მასწავლებლო, დასასვენებლად ჩამოსული მოწაფეა და ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ამასაც ვაჩვენოთო, — სთხოვა მან მასწავლებელს, მასწავლებელიც დათანხმდა.

— რა კარგი და კეთილი მასწავლებელი ყოფილა! — თქვა ერთმა.





— ერთხელ, როცა მე პატარა ვიყავი, უფროსი ჯგუფი მიჰყავდნენ ხალხს სანახავად. მეც მოვინდომე, ვსთხოვე, მაგრამ მასწავლებელმა არ წაიყვანა. წარმოთქვა მეორემ.

კარგი, გეყოფათ, მოგონებებს თავი დაენებოთ. რაც იყო, იყო; დრო აღარ დარჩება, განაგრძე, თელა! — მიმართა ჯგუფის მორიგემ.

მატარებელმა დაიკილა და ქშენით განაგრძო გზა ბათუმისაკენ. ჩვენ წყობრად მოვეწყვეთ და მალე ჩაის მურწნობაში გავჩნდით.

— გამარჯობათ, პატარებო! სასიამოვნოა თქვენი ჩამოსვლა, — მოგვმართა მურწნობის უფროსმა აგრონომმა არჩილ ასათიანმა. — გაიცანით, ბავშვებო, ეს ვახლავა მურწნობის დირექტორი პროკოფი მეგრელი შვილი.

ჩვენ თავაზიანი სალაში მივეცით. აგრონომმა ასათიანმა დაწერილობით დაგვათვლიტრება მურწნობა.

— მთელ საბჭოთა კავშირში, — გვიამბო მან გზადაგზა, — მხოლოდ საბჭოთა საქართველოში და ნაწილობრივ აზერბაიჯანში (ლენქორანში) მოჰყავთ ჩიი. საბჭოთა საქართველოში სულ 33 ათას ჰექტარზეა დათესილი ჩიი. საქართველოში სულ 16 ჩაის საბჭოთა მურწნობაა. ამ 33 ათასი ჰექტარიდან 8 ათასი ჰექტარი დათესილია საბჭოთა მურწნობის მიერ. დანარჩენი 25 ათასი ჰექტარი დამუშავებულია კოლმურწნობათა მიერ.

— რომელი მურწნობაა ყველაზე ძველი? — შეეკითხა მას პატარა რამაზ გოგიბერიძე.

ყველაზე ძველი ჩაის მურწნობა ჩაქვისა და სალიბაურის მურწნობაა სალიბაურის ბათუმის რაიონშია. თქვენ, ალბათ, გეცოდინებათ, ჩემო პატარა მეგობრებო, რომ ჩიი სათუთი და ნახი მცენარეა. მას ფაქობად მოელა სქარდგბა. წელიწადში ოთხჯერ მაინც უნდა გაითობნოს და ვიწმინდოს სარვევლა მცენარებისაგან. სანამ ის ნორჩია და ახალი, ხელით უნდა გასუფთავდეს, თანაც მას ფერ მიუღდება, აენებს, სარვევლა მცენარეები ხელით უნდა ამოიგლიჯოს. ამიტომ ასეთ სამუშაოებზე გამოყენებულია ქალებისა და უმთავრესად კი მონარდების შრომა. აბა, დახედეთ, რა კარვად მუშაობენ პატარები!

ჩვენ მივუხლოვდით და ფანხეთ, თუ რა მზრუნველობით უვლიდნენ ყოველ ბუჩქს საფაბრიკო-საქარბნო სკოლის პიონერები. დაწერილობით გაცეცანით მუშაობის პროცესს. დამკვრელი პიონერები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ მუშაობაში.

ამ დროს ჩვენთან გამწდა თეთრი შენობიდან გამოსული შერთი აღამიანი.

— აბა, პატარებო, გაიცანით, — მოგვმართა ძია არჩილმა, — ეს არის ჩაის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე, აგრონომ-ტექნოლოგი მიხეილ სარჯველაძე.

— სალაში, პატარებო, სალაში!

ჩვენც სალაში მივეცით.

— აზნაგო მიხვილ, იმედი მაქვს, ამ ექსკურსანტებს დაათვლიტრებინებთ ჩაის ფაბრიკის და გაიცნობთ მუშაობის პროცესს, — უთხრა მას ძია არჩილმა.



- სიამოვნებით, — თქვა ბიძია მიხეილმა და წაგვიძღვა ფაბრიკისაკენ.
- რამდენი ფაბრიკაა საქართველოში? — ჰკითხა მას აქარელმა გოგონამ, ნიაზი ღიასამიძემ.
- ჩვენში სულ 16 ჩაის ფაბრიკაა. ერთი მათგანი ჩაქვის ფაბრიკაა, აქ ჩვენ ყველაფერი მექანიზირებული გვაქვს.
- რამდენ კილოგრამ ჩაის მოსავალს იძლევა სულ საბჭოთა საქართველო? — ჰკითხა მას პატარა რიფათი ეთეაძემ.
- ძალიან ბევრს, ჩემო პაწია, ძალიან ბევრს! წელს უნდა მოიკრიფოს 3 მილიონ ნახევარი კილოგრამი ჩაი.
- როდის იწყება ჩაის კრეფა? — ჰკითხა მას მოწაფე ბესირე რამაზ-ოღლომ.
- ჩაის მაისსა და ივნისში კრეფენ. ამ თვეებში მოკრეფილი ჩაი პირველი ხარისხისაა.
- როგორ კრეფენ ჩაის? — შეეკითხა მას პატარა ჯემალ ქიქავა.
- რადგანაც ასე ძალიან გაინტერესებს, წამოღით და გაჩვენებთ, თუ როგორ უნდა ფოთლებს წაწყვეტა, — გვითხრა მან.
- დავეშვით ერთმანეთსა და ხალისით. მან მიგვიყვანა ჩაის ბუჩქებთან და გვაჩვენა ჩაის კრეფა.
- უნდა წაიწყვიტოს ორი ან სამი ზევით ამოსული ფოთოლი — და გვაჩვენა; ჩვენც სათითაოდ წავეწყვიტეთ ფოთოლი და თან წავეღეთ. — მაგრამ უნდა იცოდეთ, პატარებო, — განაგრძო მან, — რომ რადგანაც ახლა სექტემბერია, ეს ფოთოლი ვერ მოგვეცემს პირველი ხარისხის ჩაის. ეს მოწყვეტილი ფოთლები ფაბრიკაში უნდა მიიტანოთ. იქ მას დააქნობენ მისთვის მოწყობილ ადგილას, აი, აქ, — და მან შეგვიყვანა საქნობ განყოფილებაში.
- ამის შემდეგ დამკნარ ჩაის გადაუშვებენ აი აქ, როლერში, საგრებში, — და მან დაგვიჩვენა საბრძო მანქანა, სუფთა, პრიალა როლერი.



— აქედან კიდევ მას უკვე საფერმენტაციო განყოფილებაში წაიღებინა ჩანის ხარისხი გამოიშუშავდეს. ეს საფერმენტაციო განყოფილება ჩანის გემოსა და სურნელოვანებას ჰმატებს. მერე ვადააქვთ გასაშრობად ამ ღუმელებში, — და მიგვითითა მან ლამაზ ღუმელებზე, სადაც საქპრო იარაღებია მოწყობილი ჩანის გასაშრობად.

— ამის შემდეგ ჩანის დაახარისხებენ, ჩაყრიან დიდ ყუთებში და მოსკოვში გზავნიან.

— რატომ გზავნიან მოსკოვში? — შეეკითხნენ პატარები.

— იქ არსებობს კოოპერატიული გაერთიანება „ცენტროსოიუზი“. აი ეს გაერთიანება ამ ჩანის სს, ორას, ოთხას გრამობით გაანაწილებს, ხარისხის მიხედვით, ქალაქის პარკებში ჩაყრის, ბანდეროლს შემოაკრავს და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში უგზავნის.

— კიდევ რომელ ქვეყნებში მოყავთ, ჩემო ბიძია, ჩაი? — ჰკითხა მას მეფლულ ცინარიძემ.

— ჩაი მოყავთ იაპონიაში, ჩინეთსა და ცეილონში. ხომ გაგიგონიათ ცეილონის ჩაი?

— გაგიგონია!

— დამილევია!

— მეც დამილევია!

— ჩუმად, ბავშვებო, — შენიშნა მასწავლებელმა, — ნუ ხმაურობთ.

— იაპონიის ჩანის ჩენი ჩაი სჯობია, — განაგრძო მან, — ჩინეთის ჩანის ჩენი ჩაი ხარისხითა და გემოთი უთანასწორდება, მაგრამ ცეილონის ჩანისავეთ კარგი ვერ არის; ეს იმიტომ, რომ ცეილონში სიციფები არ იცის, ჩენში კი ზოგჯერ დიდი თოვლი და ყინვა იცის, რაც კუდ გაელენას ახდენს ჩანის თვისებაზე. ჩენი გამარჯვება ჩანის საქმეში, პატარებო, ის არის, რომ ჩვენ უკვე უღელ მალე თავისუფალი ვიქნებით საზღვარგარეთიდან ჩანის შემოტანისაგან.

დაბოლოვა მან თავისი ახსნა-განმარტება.

ჩვენ მადლობა გადაუხადეთ და ეზოში გავიშალენით.

მალე ჩვენთან მოვიდა ჩაქვის ჩანის მეურნეობასთან არსებული ჩანის საქსადგობრიკო სასწავლებლის პიონერაზმის ხელმძღვანელი და სასწავლებელში მიგვიბატოე. ეს სასწავლებელი ამზადებს ფაბრიკისათვის კვალიფიციურ მუშებს. აქ აურებელი აქარელი ახალგაზრდობა სწავლობს. წინათ, თურმე, გაურბოდენ ამ სასწავლებელს და საერთოდ ჩანის საქმეს, მაგრამ ახლა სწავლას დაეწაფნენ, და ჩაქვის ჩანის საბჭოთა მეურნეობა დღეს უმთავრესად აქარელი მუშა-მოსამსახურეებით აწარმოებს თავის გამარჯვებებს ჩანის ფრონტზე.

თელა და მისი ამანაგები ისე გაერთენ ბაასში, რომ გადაქარბებული კულტურული ვართობა გამოუვიდათ.

— ეს რა ამბავია, ხარის ხმა არ გესმისთ, ბავშვებო? — ახლავე შედით ჯგუფში! — უბრძანა მათ გამგის მოადგილემ.

ბავშვებმა საკლასო ოთახს მიამურეს და, ვიდრე ჯგუფში შევიდოდენ, სიტყვა ჩამოართვეს თელას, რომ ის ბააობზეც უთანობის თავის ამანაგებს ცოტა რწმეს.

## უცნაური მუზეუმი



ერეკლევი  
საქართველო

ქალაქ ლენინგრადში მეტისმეტად უცნაური მუზეუმი გახსნეს. დელი ბავშვები — კოქტომბრელები, პიონერები — მოდიან და მოდიან ამ მუზეუმის სანახაურად. ბევრი მათგანი დარცხენილი დადის, ჩუმად ათვლიერებს იქ გამოფენილ ნივთებს, ზოგი კი სიცილით კვდება, და ისმის ხმები:

— ბიჭო, აი, შენც ასე არ იქცევი! ეს ალბათ, შენი ნივთია,

— არაფერიც! — დარცხენით უპასუხებს მეორე.

— დედა, დედა, რა უქნიათ! — უკვირს მესამეს.

რა მოხდა, ბავშვებო, რა ნივთებია იქ, რა მუზეუმი?

ამ მუზეუმს „უმსგავსობათა მუზეუმი“ ჰქვია. რას არ ნახავთ იქ!

აი პიონერის დოლი, რამდენიმე ადგილას გაბეული, დამტვრეული თევზები (სკოლის სასადილოდან), დანით დაჭრილი სუფრა, ტარმოტეხილი და გადაღუნულ-ვადმოღუნული, დამაბინჯებული კოვზები...

აი მე-25 სკოლის გლობუსი. ის დანით არის დაჩეხილი, მეღონით არის გათხუზული და... შეუხედა გაჭრილი, როგორც სახამთრო! მის გვერდით ზერხი კილია. ის საქარხნო-სათუბრიკო სკოლის მოწაფე ზახაროვმა გატეხა. აი ფანჯრის მინები, მე-161 სკოლის მოწაფეების მიერ ჩამტვრეული. აი ელნათურები, პიონერ ბერეჯკოს მიერ დამტვრეული.

აგერ წიგნები და რვეულები! ოი, რასა გაეს!

ისინი გათხუზულია, ზოგს მეღონის ლაქები აქვს, ზოგს წვენი ვადაჰსხმია, ფურცლები ამოხეულია, დარჩენილ ფურცლებზე წარ არ არის დახატული და წარწერილი!

აი გვრამანული ფნის სახვლმძღვანელო. სულ ოთხი ფურცელი შეპრჩენია. დანარჩენი ამოხეულია. ეს საცოდავი წიგნი მე-25 საქარხნო-სათუბრიკო სკოლის მოწაფე კორნილოვის იყო ოდესღაც.



„მუზეუმში“ სკამებიც ბლომადაა, ინვალიდი სკამები: ფეხმოტეხილი, ზურგმოტეხილი, დანით ნაჯიჯგნი. ეს სკამები სკოლებიდანაა აქ მოტანილი... ათვლიერებენ ბავშვები ამ „მუზეუმს“, თავს აჭევენ, წითლდებიან (ნეტავ, ზოგიერთ მათგანს ზომ არ გააბხენდა თავისი „ვაეკაცობა“?!).

როგორ ფიქრობთ, ბავშვებო, რა გუნებაზე დადგებოდნენ ბერეკო, კორნილოვი და სხვა ბავშვები, როდესაც თავის სამარცხვინო საქმეებს ნახავდნენ „მუზეუმში“ და თავის გვარებს ამოიკითხავდნენ დამტკრეულ-დასახიჩრებულ ნივთებთან?

## ვიშრომებთ ძმურად

მზე ვადიხარა ცაზე,  
ღრო შუემნწელოდ ვადის,  
კაკო მოელის მამას,  
უცდის, ეზოში დადის.

აგერ საყვირიც ქარხნის  
გუგუნებს მაღალ ხმაზე.  
მოდის მამა, და კაკოც  
მას ეგებება გზაზე.

თუმც ნაშრომია მამა,  
მაინც ხალისით ჰხედება,  
ასრულებს შვილის თხოვნას  
და ქარხნის ამბებს ყვება:

რომ ქარხანაში მუდამ  
ისმის მანქანის ხმები  
და მუშაობენ ერთად  
მრავალი შრომის ძმები.

კაკოს ხალისი იპყრობს,  
მამის ქარხანას ეტრფის  
და საუბარზე მამას  
ის სიხარულით ეტყვის:

„მე ერთად შრომა მიყვარს,  
მამილო, მუშა ხალხის,  
როცა ვისწავლი, მეც მსურს  
გაეხდე დამკვრელი ქარხნის“.

6. შველიძე.





დეკემბრის მზიანი დარი იდგა. მოწმენდილი ეს ისე იკარგებოდა თვალი-დან, რომ არც ღრუბელი მოჩანდა და არც სიო იძროდა.

კლდის ნაპრალებსა და ციკაბოებს იქით, სადაც მონადირის ფეხი ვერ მისწვდებოდა, ჯიხვების ჯოგი გამოჰფიცებოდა მზეს. უბაკუნებდენ ანც ჩლიქებს, და ქვიშა თავდაღმართში ცვივოდა. ჯოგის უფროსი ბეხენი ჯიხვი ამ დროს კლდის მოხერხებულ ალაგს გასულიყო, თავი და რქები აკონუსებულ კლდისთვის შეეხამებია და ფარულად გადმოსცქეროდა დაბლა ადვილად გამოსასვლელ ხევეს.

სდარაჯობდა თავის დებს, ძმებსა და შვილებს მონადირის მოპარვისაგან.

დიდხანს უყურა ბეხენმა ჯიხვმა არემარეს და, საშიში რომ ვერაფერი დაინახა, კლდის წვერზე გამოვიდა, კისერი მოიღერა და რქები აღმართა. ამ დროს ისეთი კარგი სანახავი და მედლიური იყო, რომ მზიგულში გამოფენილი ჯიხვის ჯოგი ჩაწვა და თავიანთ მეთაურს გაშტერებული მისჩერებოდა.

ბეხენმა უცებ უური ცქვიტა, რქა კლდეს გაპკრა, და მზიგულში მოსვენებული ჯოგი უცებ თავის საშველად მოემზადა.

ის იყო ყველანი გასაქცევად მოეწყვენ, რომ ბეხენი კვლავ თავის ალაგს დადგა ყელმოღერებული და ამაყი.



საშიში არა იყო რა, და ჯოგმაც მოსვენება განავრძო, რადგანაც ბებენის რქების პირდაპირ ღვიანებში ფართოხუნებდა მათი ზამთარ-ზაფხულის მეზობელი და ყველაზე საყვარელი ფრინველი შურთხი.

ცხოველებმა რომ ლაპარაკი არ იციან, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ბებენმა კი არ იცის, რომ ცხოველებს მიხვედრა აქეთ ერთმანეთისა. შურთხი და ბებენი ჯიხვი ამ მიხვედრილობით დაახლოვებით ასე საუბრობდნენ:

— სალამი, ჩემო მეზობელო!

— გაგიმარჯოს, შურთხო, სადა ყოფილხარ, რომელ მხარეს იფრინე, რომ ხუთი დღეცაა შენი ფრთების შარიშური არ მსმენია?

— აი იმ მთების გადაღმით ვიყავ, მარცვლიანი ბალახების საძებრად, ჩემო ბებენო, მაგრამ ქარი და თოვლი მოვიდა, მიწა დაფარა და აქეთ გამოვსწიე.

— შურთხო, მართალს არ ამბობ, — უპასუხა ჯიხვმა. — თუ იქით თოვლია, აქეთ რათაა ასეთი მშვენიერი ამინდი?

— მაგისა რა მოგახსენო, მაგრამ ან ამაღამ ან დილით აქაც თოვლი იქნება.

— ვერც მაგ წინასწარმეტყველებას დაგიჯერებ, ჩემო კარგო მეზობელო.

— თქვენი ნებაა, თუ არ დამიჯერებთ, მაგრამ, აი, ჩვენს იქით რომ მთაა, მე ახლა იქიდან მოვფრინავ, ნისლი ხეცს შემოჰყავა და იმას გამოგვექეცი. ამ მიზეზით ვასკენი, რომ თოვლი მოვა დილით. გირჩევთ, რომ აქედან წახვიდეთ, თორემ მონადირემ ახლა თქვენზე უკეთ იცის სადა ხართ და მოგაგნებს.

— ვეცერთს ვერ დაგიჯერებ, შურთხო. ამისთანა ამინდი ისე არ ვაფუქლებმა, რომ თოვლი უცბათ მოვიდეს.

— მე კი გირჩევდით, უფრო უკეთესი საფარი აგეჩინათ ზევით, კლდეებში, — მიუგო ნაწყენმა შურთხმა, რჩევა და ამბავი რომ არ დაუჯერეს, და რაკილა მზე ჩადიოდა, ფრთას ფრთა შემოჰკრა, იქვე კლდის წვერზე ზღმარტლის ბუჩქის ქვეშ გაკმულ ფოთლებში შექერა, ჩახვანხეაღდა, თბილად თავი ფრთის ქვეშ შემოიღობა და უღარდელად დაიძინა, რადგანაც აქ არამცთუ მელისა, სინდლიოფალას მოპარვისაც არ ეშინოდა.

მზე რომ ჩაეიდა, ბებენი ჯოგთან დაბრუნდა. საღარაჯო აღარაფერი იყო, რადგანაც ღამით მონადირე არ დადის ასეთ კლდეებში, და მგელი კი ისეთ ადგილებში, სადაც ჯიხვები ცხოვრობენ, ფეხსაც ვერ დაადგამს: მგელს ისეთი ფეხები აქვს, რომ კლდის ციკაბოებში მუხლის დამაგრება არ შეუძლია.

ბებენმა ეს ძლიერ კარგად იცოდა და ამიტომაც გულარზბინად იყო.

ჯოგი მოსვენებულად ფშვინავდა, როდესაც კლდის ტეხილიდან შეკუმშული ორთქლი გადმოიპარა. მას ვეებერთელა ბარდნებივით დატენილი ღრუბლები გადმოჰყავა, და როცა ბებენმა თეალები ცქვიტა და ფეხები ააბაკუნა ჯოგის გასაღვიძებლად, გზის გაგნება უკვე ძნელი იყო.

ჯიხვების გული შიშმა მოიცვა. ცაზე ვარსკვლავები აღარ მოჩანდა. უკუნინელი და ნისლი დაჰპატრონებოდა გუშინდელ კრიალა სივრცეს, და თოვლის ფარტნებიც დატრიალდნენ.

რალას იზანდნენ ჯიხვები, გულის გადასაყოლებლად რქებით კლდის პიტალოები გადაქექეს და გემრიელ მარილიან გვირილას ლოკვა დაუწყეს.

თოვა კი თანდათან უმატებდა, და გათენებისას კლდეების ის ბოლიკები რომლებითაც ჯიხვები უშიშარი ადგილისაკენ უნდა გასულიყვნენ, ისე დაეფარა, რომ გამოცდილმა ბეხენმა გუშინდელი თავისი სადარაჯო კლდეც ვედრულად ერთადერთი გზა-ლა დაარჩა: დაშვებულოყვნენ ხევით ძირს, ბარისაკენ, სადაც შესაძლებელი იყო გზად მონადირეებს ან მგელს გადაჰყიდებოდნენ.

უცებ ჰაერში რალაკამ გაიშხულია, ჯოგი შეჩოჩქოლდა, მაგრამ თოვლზე შურთხი აფართქუნდა. ჯიხვების ნაკელზე დახტა, ფეხებით გაფანტა, განავალში გაყოლილ მარცვლებს კენკა დაუწყო და თანაც ამბობდა.

— იფ, იფ, რა გემრიელია! — და ბეხენს მიჰმართა: — ხომ გეუბნებოდი გუშინ, რომ უფრო ზევით ასულიყავით კლდეებზე, აქი თოვლი მოვიდა, ახლა სადღა წახვალთ?

— ბარისკენ დავუყვებით, — უპასუხა ბეხენმა.

— იქ ხომ მონადირეები იქნებიან, — მიუგო შურთხმა და ახალი ოშხივარინი ნაკელი გადაქეჩა.

— ჩვენი წესი ასეა, რამდენიც, მეტი მოვა თოვლი, იმდენი ბარისაკენ ჩაიწვეთ, რადგანაც საზრდოც იქ იშოვება, მთაში კი ზევით რომ წავიდეთ, იქ შიმშილით მოვკვდებით.

— მაშასადამე, ორ ცეცხლში იმყოფებით.

— დიახ, — მიუგო ბეხენმა და გაჩუმდა. ძალზე ჩაფიქრდა. შურთხმა კი განაგრძო:

— მე კი ვერ ჩამოვალ ბარად.

— თქვენი ნებაა, მაგრამ იძულებული ხართ იქით წამოხვიდეთ, საითაც ჩვენ წაველთ!

— ეს რაღაო? — იკითხა გაკვირვებულმა შურთხმა.

— იმიტომ, რომ ჯიხვის ნაკელით იცვებები, შურთხო!

— აი სწორედ მაგისტვის გეპატიებოდი ზევით, მეც საზრდო მექნებოდა და თქვენც უშიშარ ალაგს იქნებოდით.

— ჩვენ კი სადღა ვიშოვიდით დათოვლილ კლდეებში საზრდოს?

ჰკითხა ბეხენმა და რაკი შურთხისაგან პასუხი ვერ მიიღო, თავისთვის იფიქრა: შურთხი კარგი მეზობელია, მაგრამ ჩვენით იმასაც თავის საქმის გაცე-  
თება უნდოდაო.

**ბ. ჩხეიძე.**

## ფრინველი—ცხენი

ზამთარია. თოვს. ფანჯრის მინები ჰირხლით დაფარულა. ბეშვები მაგი-  
დას მოჰსხდომიან და მამას მოსვენებას არ აძლევენ — ვინ რას ეკითხება და ვინ რას. ამ დროს იღება კარი და შემოდის ძია ვასო. მისი პალტო თოვლითაა დაფარული. სახე ასწითლებია.

— უჰ, რა ცივა. — ამბობს ის და ლუმელისკენ მიდის ხელების გასათბობად.

— რა მკივანა ხარ, კაცო, ტფილისში თუ იყინები, აბა ციმბირში რა-  
ლას იზამდი, — ეუბნება ვასოს სოლომონი.

— ძალიან ცივა, მამა, კომბირში? — კითხულობს ნუსკიკო.


— ყველაზე ძალიან, ძალიან სად ცივა, მამიკო? — ვერ ისვენებს ლეივანი.

მამას უხარია, შეკითხვებს რომ აძლევენ, და სიამოვნებით უპასუხებს.

— დედამიწის ზურგზე ყველაზე ცივ ადგილად ქალაქი ვერხოიანსკი ითვლება.

— სად არის ეს ქალაქი?

— კომბირშია, შეილო. იქ იანვარში და თებერვლის პირველ ნახევარშიც კი 72 გრადუსი უნდა იცის!



— უჰ! არ იყინებიან? — გაოცდა პიონერი კოლა.


— არა, გაყინვით არ იყინებიან, შეჩვეული არიან, ძალიან თბილად იცვამენ, მაგრამ საშინელი ყინვები კი იცის.

— რატომ ცივა იქ ასე ძალიან?

— იმიტომ, რომ ქალაქი ვერხოიანსკი ყინულოვანი ოკეანის მახლობლია. გარდა ამისა, ამ ადგილას ოკეანეში თბილი დინება არ არის და ამიტომ ძალიან ცივა.

— მამიკო, ყველაზე დიდი სიციხე სად იცის?

— ჰო, ესეც კარგი კითხვაა. გლობუსი ხომ იცით? სწავლულები დედამიწის ბურთობს შუაზე ყოფენ ხაზით. ამ ხაზს ეკვატორი ჰქვია. ეკვატორზე მზის სხივები პირდაპირ, ე. ი. ვერტიკალურად ეცემა. იქ ძალიან ცხელა. მაგრამ ზოგ ადგილებში კიდევ უფრო მეტი სიციხეა. ეს ადგილები ეგრეთწოდებულ ტერმიულ ეკვატორზეა. ეს ეკვატორი გვიჩვენებს ინდოეთზე, შუაგულ აზიაში და ბევრ წერილ ნახევარკუნძულზე წყნარ ოკეანეში. იქ ჩრდილში 45 გრადუსი სიციხეა.



რაკი აფრიკა ვახსენეთ, მე ერთი რამ გამახსენდა. აბა ახლა მე ვკითხავთ და თქვენ მიპასუხეთ, აქამდის ხომ თქვენ მეკითხებოდით და მე გაძლიერებით პასუხს.

ერყვესული  
ზიზზინინი

ბავშვებმა თვალები დაქუცეს.

— რა, მამიკო, თქვი, თქვი!

— აბა მითხარით, რომელი ფრინველის შებმა შეიძლება ეტლში ცხენის მაგივრად?

— ცხენის მაგივრად?


— ბელურა, ბელურა შევებათ!— წაპოძახა მოუსვენარმა ქეთინომ და თვითონვე ატეხა სიცილოკისკისი. იცინოდენ სხვა ბავშვებიც, გულიანად იცინოდენ და დიდებიც აიყოლიეს.

— არა, ბელურა არ გამოვადგებათ, სხვა მონახეთ.

ჩაფიქრდენ ბავშვები, თვალები უბრწყინავთ, მაგრამ...

— ქალები რის ფრთას ხმარობენ შლიაპებისთვის, ბავშვებო?— შეეკითხა მათ ვასო, და ლევანმა გახარებულმა წაპოძახა:

— სირაქლემა, სირაქლემა უნდა შევებათ.



— სწორია,— თქვა მამამ.— აფრიკაში ცხოვრობს ეს უზარმაზარი ფრინველი. მას იქ ფერშებში ამრავლებენ, რადგან მისი ფრთა ძვირად ფასობს. სირაქლემა ძალიან ღონიერია და სწრაფად დარბის. 1926 წელს მოაწვეეს სირაქლელების შეჯიბრება— პატარა ეტლში შებმული რომელი სირაქლემა გაასწრებდნო, და ერთმა სირაქლემა 15 კილომეტრი გაირბინა 8 წუთში. მან ყველას აჯობა. სირაქლემებს ტვირთის გადატან-გადმოტანაც შეუძლიათ, მაგრამ ძალიან მძიმე არ უნდა იყოს.

დიღხანს ვაგრძელდა ეს ბასი, და ბავშვებმა ბევრი საინტერესო ახალი ამბავი გაიგეს. გარეთ თოვდა. ფანჯრის მინები ჭირხლით იყო დაფარული.

შ. თ.

# ოქტომბრელი, იყავ მზად!



(თამაშობა)

ოქტომბრელებო, ჯერ უნდა ამოიჩინოთ ხელმძღვანელი. ხელმძღვანელი დგება მოთამაშე ბავშვების წინ. ხელმძღვანელის უკან წყვილ-წყვილად მწყობრდებიან ოქტომბრელები და ყველა ერთად ამბობს ან მღეროიან:

ჩვენ ყოჩაღი ბავშვები ვართ,  
გვეძახიან ოქტომბრელებს,  
ჩვენ არ გვიყვარს ბევრი სიტყვა...

ამ დროს ხელმძღვანელი იძახის:  
— იყავით მზად!

ყველანი ერთად უპასუხებენ:  
— მზად ვართ!

ამ სიტყვებზე სულ ბოლოს მდგომი წყვილი სწრაფად გარბის ერთ მხარეს, ცდილობენ შეერთდნენ და ერთმანეთს ხელი ხელს მოაკიდონ ხელმძღვანელის წინ, ხელმძღვანელი კი ცდილობს დაიჭიროს რომელიმე, სანამ შეერთდებიან. თუ ბავშვებმა მოასწრეს და ხელი ხელს ჩაკიდეს ერთმანეთს, ისევ დგებიან წყვილად სათამაშოდ, მხოლოდ ბოლოში კი არა, მწყობრის თავში, ე. ი. ხელმძღვანელის უკან, და თამაში გრძელდება. თუ ხელმძღვანელმა დაიჭირა რომელიმე, მაშინ დაქერილი ხდება ხელმძღვანელად, ხელმძღვანელი და მეორე ბავშვი კი დგებიან წყვილად მწყობრის თავში. ახლა ბოლო წყვილი მობრბის თამაში გრძელდება, სანამ ყველა წყვილი არ მოათავებს სირბილს.

შეიძლება ეს თამაშობა მეორეხარისხიან ითამაშონ. სიტყვებ „მზად ვართ“-ის შემდეგ გარბის ყველა წყვილი და ცდილობენ ერთმანეთს შეუერთდნენ ხელმძღვანელის წინ, ხელმძღვანელი კი ცდილობს ვინმე დაიჭიროს. თუ დაიჭირა, ვისაც დაიჭერს,

მასთან ერთად დგება პირველ წყვილ-წყვილში. ის, რომელიც უწყვილოდ დარჩება, რჩა, ხელმძღვანელად რჩება, და თამაში ისევ იწყება.

## შარადები.

1. რომელ ანბანს უნდა მიუმატოთ რიცხვი, რომ საქართველოს ქალაქის სახელი გამოვიდეს?

2. რომელ ყვავილსა და საქართველოს ქალაქს შუა უნდა ჩასვით ერთი ანბანი, რომ მგალობელი ჩიტის სახელი გამოვიდეს?

3. პირველს ამბობენ ქალაქის თამაშობის დროს, მეორე — სურნელოვანი და ლამაზი ყვავილია, ერთად კი ვაზის სახელია.

4. პირველი არის თავის ნაწილი, მეორე — ვაგიშვილები, ერთად კი საუცხოვო ხილია.

## ამოცანები.

როგორი ქიჭა გასკდება უფრო ადვილად, ცხელი წყალი რომ ჩაასხა: თხელი თუ სქელი შუშის?

ბ	ა	ო	რ	გ
ო	ბ	ა	ო	ლ
ო	ი	ბ	ა	ნ
ი	ი	კ	ბ	ა
თ	მ	ს	ა	ა

ამ 25 უჯრედში ისე გადასხ-ვად მოსხით ეს 25 ასო, რომ გამოვიდეს ზემოდან ქვევით 2 საბავშვო მწერლის სახელი, მარცხნიდან მარჯვნივ: ის, რის მოსავლსაც დიდ მნიშვნელობა აქვს და დამკვრელები აგროვებენ, საძულველი მწერი, პიონერორგანიზაციის ნაწილი, ბალახი და დროის საზომი.



ჩვენს სოფელში დღეს პირველად  
ამოქროლდა აეტო,  
გაგვიკვირდა, თავისთავად  
რომ მოქროდა მარტო.

არ გვენახა დღემდის იგი  
და მან გაგვაკვირვა,  
ბავშვებს, გზაზე მიმავალებს,  
ყველას დაგვიკვირა:

«ტუტუ, ტუტუ!» ჩვენც შევშინდით,  
გავიფანტეთ ყველა,  
და შოფერმაც, ჩვენს იღბალზე,  
აეტო შეაჩერა.

და მიეცვივდით, შორიახლო  
ვუკვირდებით ბორბლებს...

ხარები რომ არ უბია,  
ნეტავ რა აგორებს?

— ოხ, ნეტავი ჩვენც შიგ ჩაგვსვა!  
შენ რას იტყვი, ელა?

— რას ვიტყვი და ჩვენს სკოლაში  
მიგვაქროლებს ზელათ.

გაეცინა ძია შოფერს,  
ჩვენც ღიმილი მოგვდის,  
გვითხრა: რახან გულითა გსურთ,  
მაშ ჩემთან ამოდით.

ჩვენც ჩაეცვივდით ფაცაფუციით  
ელა, მიტო, ოლა,  
და აეტომაც სკოლისაკენ  
უცებ გაგვაქროლა.

დ.მ. წერეთელი.

## მეხანძრე კიანჭველები, წინამძღოლი კოდალა და კატის შვილობილი.

ერთხელ მე და ჩემი ამხანაგი ტყეში წავედით. ის ძალიან კარგად იცნობდა მწერების ცხოვრებას და გზაში სულ კიანჭველების შესახებ მელაპარაკებოდა.

— კარგი, ერთი, სულ კიანჭველების შესახებ რომ ლაპარაკობ, შენზე ნაკლებ არც მე ვიცი მათი ცხოვრება, — ვუთხარი ამხანაგ კოლას.



— კარგი, ვნახოთ, — ღიმილით მიბასუხა მან. მივედით ტყეში. იქ ერთ ადგილას კიანჭველების ბუდე ვნახეთ. კოლას წამოდებული ჰქონდა სანთელი, აანთო და შიგ შუაგულ ბუდეში ჩადგა.

კიანჭველებმა ერთი ამბავი ატეხეს. დაფაცურდნენ, აირიგნენ და სანთელზე აცოცება დაიწყეს. ავიდნენ თავამდის, მის ნაპირას მოეწყვენ და... ორ წუთში ჩაქრა სანთელი.

— რა მოხდა? — ვკითხე ამხანაგს.



— აქი ყველაფერი ვიცო? ხომ არ გცოდნის! ქიანქველებმა ჩააქრეს სან-  
თელი, შეეშინდათ: ხანძარი განდაო.

— მართლაც ყოჩალი მეხანძრეები ყოფილან, მაგრამ რით აქრობენ  
ცეცხლს.

— რით და თავისი სიმშავით. მათ ტანში აქვთ ეგრეთწოდებული „ქიან-  
ქველის სიმშავე“ და იმით აქრობენ ცეცხლს.

— ჰო, ამაში შენ მაჯობე, მაგრამ თუ შენ ქიანქველების აშბავი იცი,  
სამაგიეროდ მე ფრინველების შესახებ ვიცი...

და ვუჩვენე კოდალა.

— იცი ამ კოდალას აშბავი? ეს კოდალა წინამძღოლია.

— რაო? წინამძღოლია? ვისი წინამძღოლია?

— ვისი და აი იმ ჩიტების, გარს რომ ეხვევიან.

— კი, მაგრამ როგორ?

— ხომ ხედავ, ხეს როგორ უკაკუნებს. იქ ის ბეგრ ქიალუას პოულობს  
პატარებს კი ტოვებს და მათ ეს წერილი ჩიტები შეეკატევიან...

კოდალამ კოტა ხნის შემდეგ სხვა ხეს მიაშურა, და მას მიჰყვენ წერილი  
ჩიტებიც, როგორც წინამძღოლს.

ა აბავი გაოცებული იყო.



უკან რომ ებრუნდებოდით, ჩვენს საერთო მეგობართან შეგუბვიეთ, რო-  
მელიც მხეცებს სწავლობდა. ჩვენ გავიანილი გვექონდა, რომ მას „კატის შეი-  
ლობილი“ ჰყავდა და გადაეწყვიტეთ ამ შეილობილის ნახვა.

იცით, რა გამოდგა ეს შეილობილი? ვირთავის ბახალა.

ჩვენ ამხანაგს კატა ჰყავდა, სახელად მარუსა. მას ცინდლები გყოლა.  
ჩვენს მეგობარს მარუსასთვის ვირთავის ბახალა მიეგდო, კატას ის თავისი  
შვილი ჰგონებია და დაუწყია მისი კვება.

მე ხელში ავიყვანე პატარა ვირთავა და ზურგზე გადავუსვი ხელი. მას  
უკვე ჰქონდა ნაცრისფერი ბეწვი.

ჩვენ ლაპარაკში ოთახში შემოვიდა კატა—მარუსა და, ჩემს ხელში რომ  
დაინახა თავისი შეილობილი, კნავილი დაიწყა.

ვირთავა იატაკზე დაესვი, მარუსამ ფრთხილად აიყვანა ის და ცინდლე-  
ბთან წაიღო.

---

სარედაქციო კოლეგია: აბაშიძე ირაკლი (პ/მგ. რედაქტორი), აღლაძე ელენე (პ/მგ.  
მდივანი), ლვინიაშვილი ან., მარჯვანი, საბახტარაშვილი ნადია, ანდრიაძე.

---

რედაქციის მისამართი: ტფილისი, აღმასკომის ქ., № 7. სახელგამი.



221

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს  
და განათლების სახალხო კომისარიატი  
ქურნალი ბავუთათვის

## „ოქტომბრელი“

---

ყოველთაო ოქტომბრელთა უნდა გამოიყოს

# ქურ. „ოქტომბრელი“

ქურნალ „ოქტომბრელი“-ს 1934 წლის ყველა ნომერი დაიბე-  
ჭდება სინთეზის მოთხოვნები, ლექსები, ზღაპრები და ბა-  
სართოები.

თბა. „ოქტომბრელი“-ს რედაქცია.